თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 22 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) – „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:2 (0:0).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, სვანაძე, უგრელიძე (გუცაევი, 75), გოგრიჭიანი, ცაავა, მესხი (ჩელებაძე, 75).

„დნეპრი“: კრაკოვსკი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, სოროკალეტი, შოხი, კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, გავრილოვი (ბაგმუტი, 35), პროტასოვი, ტარანი (ლიუტი, 68).

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გოლები: მესხი (52, პენალტით), ტარანი (54), პროტასოვი (85, პენალტით).

ზედიზედ მეორე წაგებაა და ისიც შინ – საკუთარ სტადიონზე, საკუთარი ქომაგების წინაშე. ასეთი შედეგი უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდისთვის საგანგაშოა, თბილისის „დინამოსთვის“ კი – ორგზის შემაშფოთებელი. თბილისელები საერთოდ იშვიათად აგებენ შინ და სწორედ ამიტომ არის, რომ ოდესის „ჩერნომორეცთან“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ განცდილი მარცხი განსაკუთრებით ახლოს მიაქვთ გულთან ჩვენი გუნდის ქომაგებს.

„დნეპრთან“ შეხვედრაში მინდორზე კვლავ ვიხილეთ დინამოელთა გუნდის კაპიტანი ჩივაძე, ამავე მატჩში „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობაში პირველად გამოვიდა უგრელიძე, რომლის დებიუტი ერთი კვირით ადრე, „ჩერნომორეცთან“ მატჩში შედგა. უნდა ითქვას, რომ ამ ფეხბურთელთა გამოჩენამ გარკვეული გამოცოცხლება შეიტანა მასპინძელთა თმაშიო – წინა შეხვედრასთან შედარებით დინამოელებმა უფრო აქტიურად, მონდომებით დაიწყეს მატჩი. მე ——— წუთზე კეტაშვილი ჩაერთო იერიშში და დაახლოებით 18 მეტრიდან დაარტყა – ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. თუმცა ცოტა ხნით ადრე იმავე კეტაშვილმა ვერ შეაჩერა სტუმართა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი პროტასოვი, რომელმაც მანამდე სვანაძეს აუარა გვერდი და თბილისელთა კარისკენ გაიჭრა, შეტევის დაგვირგვინება კი ვეღარ შეძლო. მე-10 წუთზე ისევ პროტასოვმა გამოიჩინა თვი – წამით დაასწრო ჭედიას და ზუსტად მიაწოდა კარგ პოზიციაში მყოფ ტარანს, რომლის დარტყმაც არაზუსტი გამოდგა. ორი წუთის შემდეგ უკვე სტუმართა კარს დაემუქრა ხიფათი – ჩივაძის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. საერთოდ, დინამოელთა კაპიტანი, როგორც ყოველთვის, ხშირად მონაწილეობდა იერიშებში, მაგრამ მისი პარტნიორები ამჯერად ვერ ახერხებდნენ დაზღვევას და დინამოელთა დაცვაში დასაშვებზე ხშირად იქმნებოდა სუსტი ადგილები. სტუმრები სწორედ ამ დროს ცდილობდნენ მეტოქის კარის აღებას.

პირველი ტაიმის მიწურულს სახიფათოდ დაარტყა ცაავამ – კრაკოვსკიმ ნახტომით კუთხურზე მოიგერია 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი. შესვენების შემდეგ, 52–ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან „დნეპრის“ საჯარიმოში შეიჭრა გოგრიჭიანი, რომლის გარღვევა მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს. მესხმა ზუსტად გამოიყენა 11–

მეტრიანი. ამ მომენტიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ჭედიამ და სვანაძემ, იმის იმედით, რომ მსაჯი თამაშგარე მდგომარეობას აღნიშნავდა, მარტო დატოვეს სტუმართა ორი თავდამსხმელი. ტარანი მშვიდად მიუახლოვდა გაბელიას, გვერდი აუარა მას და ანგარიში გაათანაბრა – 1:1. ეს მომენტი თითქოს ჭკუის სასწავლი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო დინამოელთათვის და მით უფრო საკვირველია, რომ ზუსტად ერთი წუთი შემდეგ იგივე სურათი განმეორდა: ისევ ტარანი გავიდა გაბელიას პირისპირ, მაგრამ „დნეპრის“ ფორვარდმა უზუსტოდ დაარტყა. 57-ე და 62–ე წუთებზე თავი გამოიჩინეს მეკარეებმა: ჯერ გაბელია გადაეღობა ლიტოვჩენკოს ძლიერ დარტყმას, შემდეგ კი კრაკოვსკიმ ძლივს აიღო ჩივაძის მიერ დარტყმული ბურთი. თამაშის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როცა თბილისელთა რიგებში ცვლილება მოხდა: უგრელიძისა და მესხის ნაცვლად მინდორზე გუცაევი და ჩელებაძე გამოვიდნენ, მაგრამ ვეტერანები ვეღარაფრით დაეხმარნენ თანაგუნდელებს. მათ რიგიანად ვერც მოასწრეს თამაშში ჩართულიყვნენ.

85-ე წუთზე სვანაძემ საკუთარ საჯარიმოში წააქცია კუზნეცოვი და პროტასოვმა კარგად გამოიყენა პენალტი – 2:1.

მეორე მარცხი შინ. იქნებ, თბილისელთათვის ეს მარცხი მაინც გამოდგეს გაკვეთილად?

დავით კაკაბაძე
ლელო 1.07.1986